საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

დადგენილება №5

2017 წლის 4 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„1995 წელს მიმოქცევაში გაშვებული 50 თეთრის ნომინალის მონეტების მიმოქცევის ვადის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2015 წლის 2 ნოემბრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის „ვ“ და „ი” ქვეპუნქტების, 37-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1

„1995 წელს მიმოქცევაში გაშვებული 50 თეთრის ნომინალის მონეტების მიმოქცევის ვადის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2015 წლის 2 ნოემბრის №3 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ეროვნული ბანკის მიერ 1995 წელს მიმოქცევაში გაშვებული 50 თეთრის ნომინალის მონეტების მიმოქცევის ვადა განისაზღვროს 2017 წლის ბოლომდე. შემდგომ, 2018 წლის ბოლომდე მათი გამოცვლა განხორციელდეს კომერციული ბანკებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მეშვეობით, ხოლო 2019 წლიდან – მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მეშვეობით.“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის საბჭოს
თავმჯდომარე **კობა გვენეტაძე**